ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №135461

ნომერი: AR142846

თარიღი : 20.04.2012

გაცემის თარიღი : 25.04.2012

გაცნობის თარიღი : 11.05.2012

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გრიშაშვილის, ახუნდოვის და ფირდოუსის ქუჩებს შორის;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თეიმურაზ ღვანიძე პ/ნ 01010000724
- თბილისი ძმ.ზუბალაშვილების ქ. N 3/5/7

ორგანიზაცია:

- შ.პ.ს. "ლაზათი და კომპანია" კოდი: 204393771

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 07.04.11 წ. 01/1658 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს 20.04.12 წელს №ar142846 განცხადებით მომართა თეიმურაზ ღვანიძემ თანაგანმცხადებელ ლეილა ღვანიძესთან ერთად. დაინტერესებული პირების მიერ მოთხოვნილს იქნა ტექნიკური შეცდომის გასწორება 07.04.11 წლის 01/1658 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში, კერძოდ: საზაფხულო ფართის ნაცვლად- 577.77 კვ.მ-სა 577.7კვ.მ მითითება.
სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მოქნე გარემოებები და დაადგინა, რომ 2011 წლის 04 ივლისს ქალაქ თბილისში, ძველი თბილისის რაიონში (სექტორი კრწანისი), გრიშაშვილის, ახუნდოვის და ფირდოუსის ქუჩებს შორის ი.ბ.ა. „აბანოთუბანი 2006“-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე №01/1658 ბრძანებით შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი, გაიცა მშენებლობის ნებართვა და №6/1748-1 მშენებლობის სანებართვო მოწმობა.
სამსახურში დაცული საარქივო დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დგინდება, რომ ზემოაღნიშნულ ბრძანებაში, ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში საერთო ფართი – 5742.60 კვ.მ არ შეადგენს სხვა ფართობების ჯამს. პროექტის ავტორის მიერ შედგენილი განმარტებითი ბარათის შესწავლის საფუძველზე ცხადია, რომ 01/1658 ბრძანებაში საზაფხულო ფართი მითითებულია შეცდომით, კერძოდ: საზაფხულო ფართი – 577.77 კვ.მ-ისნაცვლად უნდა იყოს 577.7 კვ.მ.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა 2011 წლის 4 ივლისის №01/1658 ბრძანებაში.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. დაკმაყოფილდეს თეიმურაზ და ლეილა ღვანიძეების 20.04.12 წელს №ar142846 განცხადება;
2. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 04 ივლისს 01/1658 ბრძანებაში, კერძოდ: საზაფხულო ფართი ნაცვლად - 577.77 კვ.მ-ისა მიეთითოს - 577.7 კვ.მ-ს;
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 04 ივლისს 01/1658 ბრძანებასთან ერთად;
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მის: შარტავას ქუჩა №7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.